

მიღებულია “კლინიკური პრაქტიკის ეროვნული რეკომენდაციების (გაიდლაინები) და დაავადებათა მართვის სახელმწიფო სტანდარტების (პროტოკოლები) შემუშავების, შეფასებისა და დანერგვის ეროვნული საბჭოს” 2009 წლის 30 დეკემბრის №2 სხდომის გადაწყვეტილების შესაბამისად

დამტკიცებულია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2010 წლის 24 სექტემბრის № 306/ლ ბრძანებით

საშარღე სისტემის ინჟექციის მართვა მოზრდილ პაციენტებში პირველად ჯანდაცვაში

კლინიკური პრაქტიკის ეროვნული რეკომენდაცია

(გაიდლაინი)

საშარდე სისტემის ინჟექციის მართვა მოზრდილ პაციენტებში პირველად ჯანდაცვაში

1. აავადების განმარტება, სინონიმები, კლასიფიკაცია და ტერმინოლოგია

განმარტება

საშარდე სისტემის მწვავე, გაურთულებელი ინფექცია გულისხმობს მწვავე ცისტიტისა და მწვავე პიელონეფრიტის ეპიზოდებს სხვა მხრივ ჯანმრთელ პირებში. ასეთი პაციენტების მართვა პირველადი ჯანდაცვის დაწესებულებაში ოჯახის ექიმის მიერ შესაძლებელია, მოწოდებული ემპირიული მკურნალობის სქემები ეფექტურია.

საშარდე გზების გართულებული ინფექციების დროს აღინიშნება დამამძიმებელი ფაქტორები, რის გამოც სტანდარტული მკურნალობა ხშირად არაეფექტურია და მაღალია ისეთი შემთხვევების ჩამოყალიბების რისკი, როგორცაა: ემფიზემატოზურ პიელონეფრიტი, თირკმლის კორტიკომედულარული აბსცესი, პერინეფრული აბსცესი, პაპილარული ნეკროზი და უროსეფსისი. ასეთი პაციენტების გამოკვლევა და მკურნალობა მიზანშეწონილია სპეციალიზებულ დაწესებულებებში.

გართულებული საშარდე გზების ინფექციის არსებობის ალბათობა მაღალია მამაკაცებში (საშარდე გზების ინფექციის კლინიკური სურათით ვლინდება მწვავე ან ქრონიკული პროსტატიტი; საშარდე გზების ინფექცია თან ახლავს შარდ-კენჭოვან დაავადებას, პროსტატის კეთილთვისებიანი ჰიპერპლაზიით გამოწვეული ობსტრუქციის ფონზე ხშირად ვითარდება საშარდე გზების ინფექცია).

გაურთულებელი და გართულებული ინფექციის გამიჯვნა მიზანშეწონილია, უპირველეს ყოვლისა, იმის გამო, რომ, ეს განსაზღვრავს დაავადების მიმდინარეობის თავისებურებებს, ანტიბაქტერიული მკურნალობის სახესა და ხანგრძლივობას, შესაბამისად, სპეციალიზებულ კლინიკაში რეფერალის აუცილებლობას.

საშარდე გზების ინჟექციის (სპი) კლასიფიკაცია

საშარდე გზების გაურთულებელი ინფექციის სახეები:

1. მწვავე გაურთულებელი ცისტитი პრემენოპაუზის პერიოდში არაორსულ ქალებში;
2. მწვავე გაურთულებელი პიელონეფრიტი პრემენოპაუზის პერიოდში არაორსულ ქალებში;
3. ასიმპტომური ბაქტერიურია;

4. მწვავე ცისტითი ორსულებში;
5. მწვავე პიელონეფრიტი ორსულებში;
6. ასიმპტომური ბაქტერიურია ორსულებში;
7. მორეციდივე ცისტითი ქალებში;
8. საშარდე გზების ინფექცია პოსტმენოპაუზის პერიოდში ქალებში;
9. საშარდე გზების ინფექცია მამაკაცებში – გაურთულებელი, ფუნქციურ-ანატომიური ანომალიების დასაბუთებულად გამორიცხვის შემთხვევაში.

გამოყენებული ტერმინები

სბი გაურთულებელი – ცისტიტისა და პიელონეფრიტის ეპიზოდები სხვაგვარად უკანმრთელ პირებში.

სბი გართულებული – ცისტიტისა და პიელონეფრიტის ეპიზოდები საშარდე გზების ფუნქციურ-ანატომიური ანომალიების არსებობისას (თანდაყოლილი ანომალიები, შარდ-კენჭოვანი დაავადება, პროსტატის კეთილთვისებიანი ჰიპერპლაზია, შარდის შეკავება, და ა.შ.).

ასიმპტომური ბაქტერიურია – ასიმპტომური პაციენტი შარდის დადებითი კულტურით. უროპათოგენის რაოდენობა ამ დროს $>10^5$ მლ ¹.

პიურია – სულ მცირე 8 000 ლეიკოციტის არსებობა 1 მლ დაუცენტრიფუგირებელ შარდში (შეესაბამება მხედველობის არეში 8-10 ლეიკოციტის არსებობას), სხვა მოსაზრებით პიურიის დროს ლეიკოციტების რაოდენობა $>20\ 000$ (ჰემოციტომეტრით) 1 მლ შარდში ². ზემოთ აღნიშნული იმაზე მიუთითებს, რომ ეს მეთოდი არ არის ზუსტი და უპირატესობა დიაგნოსტიკაში ენიჭება ლეიკოციტების დათვლას. ბაქტერიურია პიურიის გარეშე შარდის კონტამინაციაზე მიუთითებს.

სტერილური პიურია – მაშინ როდესაც საშარდე გზების ინფექცია პიურიის გარეშე წარმოუდგენელია, თავად პიურია შეიძლება იყოს ინფექციისგან დამოუკიდებლად, განსაკუთრებით იმ პაციენტებში, რომლებმაც ჩაიტარეს ანტიმიკრობული მკურნალობა (ძირითადად - თვითმკურნალობა). სტერილური პიურიის სხვა მიზეზებია შარდის ნიმუშის კონტამინაცია სასტერილიზაციო ხსნარით, ვაგინალური გამონადენით, ურეთრული სტერილური პიურია შეიძლება აღინიშნოს ქრონიკული ინტერსტიციული ნეფრიტის დროს (მაგ., ანალგეზიური საშუალებების ჭარბი მოხმარებით გამოწვეული ნეფროპათია), ნეფროლითიაზის, უროეპითელური სიმსივნის და სპეციფიკური ინფექციის (მაგ: ტუბერკულოზი) შემთხვევაში.

Dipstick-ტესტი – ამ მეთოდით ხდება ლეიკოციტების ესტერაზის და ნიტრიტის აღმოჩენა შარდში. პირველი მიუთითებს პიურიაზე, ხოლო მეორე ენტერობაქტერიების არსებობაზე, რომლებიც შარდის ნიტრატს

გარდაქმნიან ნიტრიტად^{3,4} შარდის რუტინული ანალიზისა და Dipstick მეთოდს ახასიათებს ცრუ უარყოფითი და ცრუ დადებითი შედეგები⁵.

2. ეპიდემიოლოგია

სბი (გაურთულებელი) – გავრცელებული პრობლემაა პირველადი ჯანდაცვის სისტემაში. ის განსაკუთრებით ხშირია ქალებში. გაურთულებელი **სბი** 20-დან 40 წლამდე ქალების 25-30%-ს აღენიშნება.

ახალგაზრდა ქალებში ჩატარებული კოჰორტული და შემთხვევა-კონტროლის კვლევის მიხედვით, მწვავე ცისტიტის განვითარების რისკი მკვეთრად დაკავშირებული სქესობრივ ურთიერთობასთან, კონტრაცეპტივის გამოყენებასთან (კერძოდ, დიაფრაგმის გამოყენებასთან სპერმიციდთან ერთად), მანამდე არსებულ ბაქტერიურიასთან, მორეციდივე **სბი**-თან ანამნეზში, **სბი** განვითარების პირველი ეპიზოდის დროს ქალის ასაკსა და პაციენტის დედის ანამნეზში **სბი**-ის არსებობასთან.

მორეციდივე **სბი**-ს სიხშირე მატულობს, თუ გოგონას **სბი** პირველი ეპიზოდი აღენიშნებოდა 15 წლამდე ასაკში. მორეციდივე **სბი**-ს განვითარების რისკი მაღალია მენოპაუზის პერიოდში, ვინაიდან ამ დროს ადგილი აქვს საშოს ლორწოვანის ფუნქციურ ცვლილებას, რაც ესტროგენების დონის დაქვეითებით არის გამოწვეული.

ამერიკული, ევროპული და ავსტრალიური კვლევების მიხედვით, ასიმპტომური ბაქტერიურიის გავრცელება ორსულებში 4-7 %-ს შეადგენს. ასიმპტომური ბაქტერიურია დაკავშირებულია სქესობრივ აქტივობასთან და მისი სიხშირე იზრდება ასაკისა და ორსულობის ვადის მატებასთან ერთად. ის ასევე მაღალია დაბალი სოციალურ-ეკონომიკური სტატუსის მქონე პაციენტებში. ინფექციის სიმპტომები ორსულთა 1-2 %-ში ვლინდება.

ქალების უმრავლესობას ასიმპტომური ბაქტერიურია ორსულობამდე აღენიშნება. პირველ ვიზიტზე ორსულებში ასიმპტომური ბაქტერიურია ისეთივე სიხშირით გვხვდება, როგორც არაორსულებში. ასიმპტომური ბაქტერიურიის მქონე სკოლის მოსწავლე გოგონების 37-57%-ს ორსულობისას **სბი** უვითარდება⁶ (III).

შედეგთში ჩატარებული კვლევის მიხედვით, ბაქტერიურიის განვითარების რისკი მატულობს ორსულობის ვადის ზრდასთან ერთად, მაქსიმუმს აღწევს გესტაციური ვადის 9-17 კვირაზე⁷ (III). ორსულთა ასიმპტომურ ბაქტერიურიასთან დაკავშირებულია ახალშობილის მცირე წონა (< ან = 2500გ), ნაადრევი მშობიარობა (<37 კვირაზე) და ნეონატალური სიკვდილობა. ასიმპტომური ბაქტერიურიის მქონე ქალების 20-40%-ს ორსულობისას უვითარდება პიელონეფრიტი. მწვავე პიელონეფრიტი უფრო ხშირად ვითარდება ორსულობის მესამე ტრიმესტრში. Gilstrap და მისი თანაავტორების მიმოხილვით, 24 000 ორსულიდან 2%-ს აღენიშნებოდა მწვავე პიელონეფრიტი⁸.

სბი ახალგაზრდა (15-დან 50 წლამდე), სხვა მხრივ ჯანმრთელ მამაკაცებში საკმაოდ იშვიათია. ნორვეგიაში 21-დან 50 წლამდე ასაკის 10 000 მამაკაციდან **სბი** 6-8-ს აღენიშნება.

პროგნოზი

ქვედა **სბი** გართულებები, ჩვეულებრივ, იშვიათია და გამოწვეულია რეზისტენტული მიკროორგანიზმებით. ზოგჯერ გართულებების მიზეზი არადიაგნოსტირებული სტრუქტურული ან უროდინამიკური/ფუნქციური ცვლილებაა.

საშარდე გზების ინფექციას, ჩვეულებრივ, კეთილსაიმედო პროგნოზი აქვს. უცხო სხეულის არსებობის ფონზე განვითარებული გართულებული **სბი** რთული სამკურნალოა. **სბი**, რომელიც ვითარდება მექანიკური ან ფუნქციური ობსტრუქციის ფონზე, პროგნოზულად უფრო არაკეთილსაიმედოა, ვიდრე გაურთულებელი **სბი**.

გადაუდებელ რეფერალს მოითხოვს პერინეფრული და თირკმლის აბსცესი, ვინაიდან შესაძლებელი გამოიწვიოს თირკმლის ფუნქციის გაუარესება, სეპტიური შოკი.

3. ეტიოპათოგენეზი

საშარდე სისტემაში მიკროორგანიზმების გავრცელების 3 გზა არსებობს: აღმაგალი, ჰემატოგენური და ლიმფოგენური. კლინიკურად და ექსპერიმენტულად დადასტურებულია, რომ ურეთრაში ე.წ. „ნაწლავური მიკროორგანიზმების“ გავრცელება დასაბამს აძლევს საშარდე გზების ინფექციას. ამით აიხსნება ის, რომ **სბი** უფრო ხშირად გვხვდება ურეთრის კათეტერიზაციის ან ინსტრუმენტული ჩარევის შემდეგ, აგრეთვე ქალებში (ანატომიური მდებარეობა). დადგენილია, რომ ურეთრის ერთჯერადი კათეტერიზაციის შემდეგ ამბულატორიული პაციენტების 1-2 %-ს **სბი** უვითარდება. ურეთრაში მუდმივი კათეტერის ჩადგმიდან (თუ იგი ღია სისტემითაა დრენირებული) მე-3-4 დღეს **სბი** აღმოცენდება შემთხვევების 100%-ში. დრენირებისთვის დახშული სისტემის გამოყენებისას ინფექცია მოგვიანებით ვითარდება. კათეტერიზებულ პაციენტებში ინფექცია აღმაგალი გზით ვითარდება. სავარაუდოდ, ბაქტერიები კათეტერსა და ურეთრას შორის არსებული გზით (მიკოპურულენტურად) ვრცელდება, რასაც საბოლოოდ დაახლოებით 4 კვირის განმავლობაში ბაქტერიურია მოსდევს. შარდმიმღებში სტერილური შარდის არსებობა, შარდმიმღებიდან კათეტერში შარდის რეტროგრადული დინების არ არსებობა, ანტიბაქტერიული თერაპია ვერ აბრკოლებს ინფექციის განვითარებასა და გავრცელებას.

ინფექცია საშარდე გზებში შეიძლება გავრცელდეს ორგანიზმში არსებული პირველადი კერებიდან ჰემატოგენურად. ამ ინფექციის გამომწვევებია: *Staphylococcus aureus*, *Candida spp.*, *Salmonella spp.*, *Mycobacterium*

tuberculosis. პემატოგენური და აღმავალი ინფექციის იშვიათი გამომწვევია *Candida albicans*, უფრო ხშირად ურეთრული კათეტერის გამოყენებისა და ანტიბიოტიკოთერაპიის შემდეგ.

სბო ინფექციის განვითარების აუცილებელი პირობაა ორგანიზმის ზოგადი დამცავი მექანიზმების დათრგუნვა. არც თუ უმნიშვნელოა ბაქტერიის ვირულენტობის ხარისხიც. გარკვეულ ბაქტერიებს ახასიათებთ ე.წ. "სპეციალიზებული ვირულენტობა", რაც უადვილებს მათ ნაწლავური ფლორიდან, საშოდან ან ურეთრის მიმდებარე არედან აღმავალი გზით შარდის ბუშტისკენ, იშვიათად კი თირკმლებისკენაც კი გავრცელდნენ და სისტემური ანთებითი პროცესი ჩამოაყალიბონ. ამგვარი ვირულენტობით გამოირჩევა *E.coli*.

გაურთულებელი საშარდე გზების (როგორც ზედა, ასევე ქვედა) ინფექციის უხშირესი გამომწვევია *E.coli* (70-95%) და *Staphylococcus saprophyticus* (5-10%). ეს უკანასკნელი მწვავე პიელონეფრიტის დროს უფრო ნაკლებად გვხვდება, ვიდრე მწვავე ცისტიტის შემთხვევაში.

ზოგჯერ სხვა ენტერობაქტერიების გამოყოფაც ხდება, ესენია: *Proteus mirabilis*, *Klebsiella spp.* და ენტეროკოკიც კი (კომბინირებული კონტამინაცია). სიმპტომური პაციენტების 10-15 %-ში ბაქტერიურიის დადგენა ვერ ხერხდება რუტინული მეთოდებით^{9, 10}. ორსულობის დროს **სბო** განვითარებას ხელს უწყობს თირკმლებისა და საშარდე გზების ანატომიურ-ფიზიოლოგიური ცვლილებების განვითარება, რომელიც დამახასიათებელია ორსულობისთვის: შარდსაწვეთები ფართოვდება, ხოლო გადიდებული საშვილოსნო გადაადგილებს შარდის ბუშტს წინ და ზემოთ. თირკმლების სისხლით მომარაგება და გორგლოვანი ფილტრაცია იზრდება 30-40%-ით, თირკმლები მცირედ მატულობს ზომაში და ხდება ჰიპერემიული. შარდის ნაკადი ხდება ღუნე და შეიძლება შარდის ბუშტი არასრულად დაიცალოს.

მამაკაცებისგან განსხვავებით, ქალებში შარდსადენი მილის გარეთა ხერხელი ახლო მდებარეობაშია სწორი ნაწლავის ხერხელთან, რაც ზრდის კონტამინაციის რისკს. გარდა ამისა, გასათვალისწინებელია მამაკაცის ურეთრის თავისებურებები და მისი სიგრძე, აგრეთვე პროსტატის წველის ანტიბაქტერიული მოქმედებაც. **სბო** განვითარებას მამაკაცებში ხელს უწყობს დასნებოვნებული პარტნიორის არსებობა, ანალური სექსი და ჩუჩის არსებობა¹¹, თუმცა ეს ფაქტორები ყოვეთვის არ აღინიშნება.

სბო განვითარება პოსტმენოპაუზის პერიოდის მქონე ქალებში დაკავშირებულია ვაგინალური pH-ის მომატებასთან (ნორმის ფარგლებში მცირე რაოდენობით გრამ უარყოფითი ბაქტერიები აღინიშნება ვაგინალურად, რასაც ხელს უწყობს ადგილობრივი მიკროფლორა. ლაქტობაცილები ამცირებენ ვაგინალურ pH, მაგრამ მათი რაოდენობა მცირდება მენოპაუზისა და ანტიბიოტიკოთერაპიის შემდეგ. ესტროგენები ხელს უწყობენ ლაქტობაცილების ზრდას, ამცირებენ ვაგინალურ pH¹² (II b) და შესაბამისად აქვთ დამცავი ფუნქცია). ნაწლავური გრამ უარყოფითი

ფლორა კოლონიზაციას განიცდის პოსტმენოპაუზის პერიოდის ქალებში მორეციდივე **სბი** შემთხვევაში¹³ (Ib). აქედან გამომდინარე, პოსტმენოპაუზალურ ქალებში ორალური¹⁴,¹⁵ ან ინტრავაგინალური ესტროლის¹⁶ გამოყენება მკვეთრად ამცირებს **სბი** რეციდივს (Ib A).

სბი გართულების ხელშემწყობი ფაქტორებია:

- მამრობითი სქესი (მამაკაცებში საშარდე ინფექციის კლინიკური სურათით ვლინდება მწვავე ან ქრონიკული პროსტატიტი, საშარდე ინფექცია თან ახლავს შარდ-კენჭოვან დღავადებას, პროსტატის კეთილთვისებიანი ჰიპერპლაზიით გამოწვეული ობსტრუქციის ფონზე ხშირად ვითარდება საშარდე ინფექცია);
- ხანშიშესული ასაკი;
- ჰოსპიტალური ინფექცია (მოითხოვს მკურნალობას სპეციალური ანტიბაქტერიული პრეპარატებით და სპეციალური სქემით / ხანგრძლივობით);
- ორსულობა;
- ურეთრული კათეტერი;
- უკანასკნელ ხანს ჩატარებული ინტერვენცია საშარდე გზებზე;
- საშარდე გზების ფუნქციური ან ანატომიური პათოლოგია;
- შაქრიანი დიაბეტი;
- იმუნოსუპრესია.

4. კლინიკური სიმპტომატიკა

სიმპტომები

მწვავე ცისტისტი პრემენოპაუზის პერიოდის არაორსულ ქალებში ხასიათდება გამოსატული დიზურიით, ტკივილით, დაჭიმულობით ბოქვენზედა არეში.

მწვავე პიელონეფრიტს არაორსულ პრემენოპაუზის პერიოდის ქალებში ახასიათებს ტკივილი წელის არეში, გულისრევა, ღებინება, შემცივნება, სხეულის ტემპერატურის მატება (>38 °C), ტკივილი კოსტოვერტებრულ არეში. ამ დროს ცისტისტის ნიშნები შესაძლოა არც აღინიშნებოდეს.

მწვავე პიელონეფრიტი ორსულებში ძირითადად მესამე ტრიმესტრში ვითარდება. ხშირია ლოგინობის ხანაშიც. ხასიათდება შემცივნებით, მაღალი ტემპერატურით, ტკივილით წელის არეში.

მწვავე ცისტისტი მამაკაცებში შეიძლება არსებობდეს როგორც დამოუკიდებლად, ისე პიელონეფრიტთან და პროსტატიტთან ერთად. კლინიკური სურათი ისეთივეა, როგორც ქალებში. მორეციდივე **სბი** დროს,

უნდა ვივარაუდოთ ქრონიკული პროსტატიტის არსებობა. ასიმპტომური ბაქტერიურია უფრო ხშირია ხანშიშესულ მამაკაცებში, თუმცა უფრო იშვიათია, ვიდრე ხანშიშესულ ქალებში¹⁷.

გართულებები

მწვავე პიელონეფრიტის გართულება - საშარდე გზების ინფექციის პროგრესირების სიცოცხლისთვის საშიში გართულებებია: ემფიზემატოზური პიელონეფრიტი (ძირითადად დიაბეტით დაავადებულებში), თირკმლის კორტიკომედულური აბსცესი-კარბუნკული, პერინეფრული აბსცესი (პარანეფრიტი) და პაპილარული ნეკროზი.

გართულებები და სიკვდილიანობა დაბალია, როდესაც პაციენტი იტარებს შესაბამის მკურნალობას. მწვავე პიელონეფრიტის განვითარების მიზეზი ორსულებში ძირითადი უროლოგიური დარღვევები და იმუნიტეტის დაქვეითებაა, რაც მაღალი რისკის ქვეშ აყენებს ორსულისა და ნაყოფის ჯანმრთელობას, ახასიათებს: ტოქსემია, ჰიპერტენზია, ნაადრევი მშობიარობა და პერინატალური სიკვდილობა. ანტიბაქტერიული თერაპია იმდენად ეფექტურია, რომ ბაქტერიემიის შემთხვევაშიც კი თითქმის ყველა პაციენტი გაურთულებელი მწვავე პიელონეფრიტით უკეთესად გრძნობს თავს და ავებრილური ხდება მკურნალობის დაწყებიდან რამდენიმე დღეში.

5. დაავადების დიაგნოზი

I მწვავე გაურთულებელი ცისტიტის დიაგნოზი პრემენოპაუზის პერიოდის მქონე არაორსულ ქალებში:

არაორსულ, პრემენოპაუზის პერიოდის ქალებში მწვავე დიზურიულ მოვლენებს იწვევს სამი ძირითადი ინფექცია:

- მწვავე ცისტიტი
- მწვავე ურეთრიტი, გამოწვეული *C.trachomatis*, *Neisseria gonorrhoeae*, ან *herpes simplex* ვირუსით
- ვაგინიტი, გამოწვეული *Candida spp.* ან *Trichomonas vaginalis*-ით.

ამ სამი პათოლოგიის დიფერენცირება საკმაოდ მაღალი სარწმუნოობით შეიძლება ანამნეზითა და ფიზიკური გასინჯვით.

მწვავე ცისტიტი სავარაუდოა იმ შემთხვევაში, როდესაც ქალი უჩივის ტკივილს ან დაჭიმულობას ბოქვენზე და მიდამოში და დიზურიას, არის დიაფრაგმისა და სპერმიციდების მომხმარებელი, მსგავსი ჩივილები წარსულშიც აღენიშნებოდა და ბოლო დროს ჩატარებული აქვს უროლოგიური მანიპულაციები (ცისტოსკოპია, შარდსადენი მილისა და შარდსაწვეთის კათეტერიზაცია, ინვაზიური ურო-რენტგენოლოგიური

დიაგნოსტიკური პროცედურები). მიუხედავად იმისა, რომ ცისტიტის მქონე ქალების დაახლოებით 40% აღენიშნება ჰემატურია, ის არ შეიძლება ჩაითვალოს გართულების მაჩვენებლად. იმ შემთხვევაში, როდესაც ღიზურიას თან ახლავს ჰემატურია და ინფექციის ნიშნები არ არის გამოხატული, საჭიროა შარდის ციტოლოგიური კვლევა და ცისტოსკოპია შარდის ბუშტის კარცინომის გამოსარიცხად. *C.trachomatis* ან *Neisseria gonorrhoeae*–ით გამოწვეული ურეთრიტი სავარაუდოა იმ შემთხვევაში, თუ: ქალს ახალი სქესობრივი პარტნიორი ჰყავს ბოლო რამდენიმე კვირის განმავლობაში ან მის სქესობრივ პარტნიორს აღენიშნება ურეთრული ნიშნები (სიმპტომები). ანამნეზში აღინიშნებოდა სქესობრივი გზით გადადები დაავადების არსებობა, სიმპტომების თანდათან განვითარება და თანმხლები საშოსმხრივი სიმპტომები (გამონადენი საშოდან ან სუნი); ვაგინიტზე მიუთითებს ვაგინალური გამონადენი, სუნი, ქავილი, ტკივილი სქესობრივი ურთიერთობისას, წვა ურეთრის გარეთა ხერხელის მიდამოში შარდვის სიხშირის გაზრდისა და მოშარდვის იმპერატიული სურვილის გაჩენის გარეშე.

შარდის ანალიზი (dipstick მეთოდით)- **სბი** შემთხვევაში პიურიის, ჰემატურიისა და ნიტრიტების აღმოსაჩენად. მწვავე, სიმპტომური **სბი** დროს პიურია ყოველთვისაა (ისეთ შემთხვევაში, როდესაც გამოხატულია ინფექციის კლინიკური სურათი, მაგრამ არ აღინიშნება ლეიკოციტურია, აუცილებელია განმეორებითი კვლევა, ბაქტერიოლოგია, კვლევის დამატებითი მეთოდები – სონოგრაფია, რენტგენი), ისევე როგორც *C.trachomatis* ან *Neisseria gonorrhoeae*–ით გამოწვეული ურეთრის დროს. პიურიის არ არსებობა სხვა დიაგნოზზე მიუთითებს. **სბი** დიაგნოზი ისმება მნიშვნელოვანი ბაქტერიურიის შემთხვევაში. ამ უკანასკნელის დეფინიცია სადავოა. ტრადიციული სტანდარტით 4 დეკადის წინ მნიშვნელოვანი ბაქტერიურიის ქვეშ იგულისხმებოდა უროპათოგენების რაოდენობა $\geq 10^4$ 1 მლ შარდის შუა ულუფაში, დაფუძნებული იმ ქალების შესწავლით, რომლებსაც ჰქონდათ მწვავე პიელონეფრიტი და ასიმპტომური ბაქტერიურია ⁸. ბოლო რამდენიმე კვლევით დადგინდა, რომ ქალების დაახლოებით ნახევარს მწვავე ცისტიტის დროს აღენიშნება ბაქტერიურია $< 10^4$ 1 მლ შარდის შუა ულუფაში ¹⁸ (II). პრაქტიკული მიზნებიდან გამომდინარე მწვავე გაურთულებელი ცისტიტის დიაგნოზის დასმა შესაძლებელია, როდესაც უროპათოგენების რაოდენობა $\geq 10^3$ 1 მლ შარდის შუა ულუფაში ^{19, 20}.

შარდის ბაქტერიოლოგიური (კულტურული კვლევა) არ არის აუცილებელი მწვავე გაურთულებელი ცისტიტის შემთხვევაში, ვინაიდან გამომწვევისა და ანტიმიკრობული მგრძობელობის განსაზღვრა შესაძლებელია წინასწარ, მაღალი ალბათობით. გარდა ამისა, ბაქტერიოლოგიური კვლევის შედეგი ცნობილი ხდება მაშინ, როდესაც პაციენტის სიმპტომები ქრება ან მკვეთრად მცირდება. თუ პაციენტის სიმპტომები არ არის **სბი**-თვის დამახასიათებელი, ასეთ შემთხვევაში საჭიროა შარდის შუა ულუფის გამოკვლევა ან კათეტერით მიღებული შარდის (იღებს

დახელოვნებული სამედიცინო პერსონალი) ბაქტერიოლოგიური კვლევა. ასეთ შემთხვევაში ლაბორატორიას ეგზავნება შეტყობინება დაფიქსირდეს ბაქტერიის უმნიშვნელო რაოდენობაც კი.

მენჯის ორგანოების გასინჯვა ნაჩვენებია, როდესაც საექვო ურეთრის ან ვაგინის არსებობა ან საექვო დიაგნოზი (ვერ ხერხდება დიაგნოზის დასმა). მენჯის გასინჯვა მოიცავს ვაგინის დადგენას, ურეთრული გამონადენის ან ჰერპესული დაზიანების გამოკვლევას. ცერვიკალური დათვალიერება და ცერვიკალური და ურეთრული ნაცხის კულტურალური კვლევა საჭიროა *C.trachomatis* და *Neisseria gonorrhoeae*- აღმოსაჩენად (ან პოლიმერაზას ჯაჭვური რეაქცია დილის შარდის პირველ ულუფაში).

II მწვავე გაურთულებელი პიელონეფრის დიაგნოსტიკა პრემენოპაუსს პერიოდის არარსულ ქალებში:

მწვავე პიელონეფრის დიაგნოზი ეფუძნება კლინიკურ სურათს: ტკივილი წელის არეში, გულისრევა/ღებინება, ცხელება ($>38^{\circ}\text{C}$) ან დაჭიმულობა კოსტოვერტებრულ კუთხეში, რომელთაც შეიძლება თან ახლდეს მწვავე ცისტიტის სიმპტომები. მწვავე გაურთულებელი პიელონეფრის მიმდინარეობა მსუბუქიდან ზომიერამდე მერყეობს.

შარდის ანალიზში საყურადღებოა პიურია და ჰემატურია. ცისტიტისგან განსხვავებით პიელონეფრის შემთხვევათა 80-95% -ში უროპათოგენების რაოდენობა $> 10^5$ 1 მლ შარდში ²¹, ხოლო რუტინული დიაგნოსისათვის უროპათოგენის 10^4 რაოდენობაც საკმარისია 1 მლ შარდში ^{22, 23}. ზედა საშარდე გზების ობსტრუქციის სანახავად ნაჩვენებია ულტრაბგერითი კვლევა ²⁴. დამატებითი კვლევის მეთოდები სონოგრაფია, ექსკრეტორული უროგრაფია, კომპიუტერული ტომოგრაფია ²⁵ ნაჩვენებია თუ პაციენტი მკურნალობის დაწყებიდან 72 საათის შემდეგაც ფებრილურია, რათა გამოირიცხოს ისეთი გართულებები, როგორცაა უროლითიაზი, თირკმლის ან პერინეფრული აბსცესი. რუტინულად ექსკრეტორული უროგრაფიის გამოყენება არაღირებუელია, ვინაიდან პაციენტთა უმრავლესობას მწვავე გაურთულებელი პიელონეფრით ზედა საშარდე გზები უცვლელი აქვთ.

III სბი-ის დიაგნოსტიკა ორსულ ქალებში:

მწვავე ცისტიტის დიაგნოზი ორსულებში ისევე ისმება, როგორც არაორსულებში.

მწვავე პიელონეფრის დიაგნოსტიკა ორსულებში ეფუძნება კლინიკურ სურათს: მაღალი ცხელება, ლეიკოციტოზი, ტკივილი კოსტოვერტებრულ კუთხეში. ხშირია ბაქტერიემია.

ასიმპტომური ბაქტერიურიის მქონე ქალების 20-40% ორსულობისას უვითარდება პიელონეფრიტი ²⁶, ასიმპტომური ბაქტერიურიის მკურნალობა კი ამცირებს მისი განვითარების რისკს ²⁷ (II a), აქედან გამომდინარე,

რეკომენდებულია ყველა ორსულის სკრინინგი ბაქტერიურიის აღმოსაჩენად შარდის ბაქტერიოლოგიური კვლევის მეთოდით ერთხელ მაინც ორსულობის ადრეულ ვადაზე და დადებითი პასუხის შემთხვევაში მკურნალობის კურსის ჩატარება ²⁸ (IA). ასიმპტომური ბაქტერიურიის სკრინინგი ხარჯთეფექტურია, როდესაც მისი გავრცელება >2 % ²⁹ . სოციალურად სტაბილურ პოპულაციაში კი, სადაც მისი გავრცელება დაბალია, არ არის აუცილებელი სკრინინგული პროგრამის მუშაობა ³⁰ (IIIB). თუმცა, ყოველწლიურად პიელონეფრიტის შემთხვევათა შემცირება პირდაპირ კავშირშია ასიმპტომური ბაქტერიურიის სკრინინგთან და მის მკურნალობასთან ორსულებში ³¹ (IIaB).

IV ასიმპტომური ბაქტერიურიის დიაგნოსტიკა

ასიმპტომური ბაქტერიურია საკმაოდ ხშირია. შარდსასქესო სისტემის ფუნქციური ან ანატომიური ანომალიის მქონე პირებში ძალიან მაღალია მისი გავრცელების სიხშირე, თუმცა ჯანმრთელ პოპულაციაშიც აღინიშნება შარდის დადებითი კულტურა. ასიმპტომური ბაქტერიურია იშვიათადაა დაკავშირებული ცუდ გამოსავალთან. მისი სკრინინგი და მკურნალობა რეკომენდებულია მხოლოდ შემდეგ პირებში:

- ორსულები (IbA)
- პროსტატის ტრანსურეტრული რეზექციის ჩატარების წინ (IbA)
- სხვა უროლოგიური ჩარევის შემთხვევაში (III B)

არასაჭირო მკურნალობის თავიდან აცილების მიზნით საჭიროა ასიმპტომური ბაქტერიურიის დიაგნოსტიკა - ორი თანმიმდევრული დადებითი კულტურა ერთიდაიგივე სახეობის უროპათოგენზე.

ცრუ დადებითი შედეგის სიხშირე შარდის მხოლოდ ერთი შუა ულუფიდან >40 % (II b). ქალები შარდის დადებითი კულტურით განმეორებით უნდა იქნენ გამოკვლეულნი 1-2 კვირის შემდეგ, ამისათვის ხდება ვულვის გულმოდგინე დამუშავება, შარდის მეორე შუა ულუფის აღება ან კათეტერით შარდის მიღება და ამ მასალის კვლევა (II aB).

V მორეციდივე სბი-ის დიაგნოსტიკა

მორეციდივე სბი დიაგნოზი ისმება, თუ პაციენტს ბოლო 12 თვის მანძილზე 3 ან 6 თვის მანძილზე სბი 2 ეპიზოდი აღენიშნებოდა.

VI მწვავე გაუზრუნველბელი სბი-ის დიაგნოსტიკა ახალგაზრდა მამაკაცებში

მწვავე სბი სიმპტომატიკა ახალგაზრდა მამაკაცებში მსგავსია ქალებში მიმდინარე სბი-სა. ურეთრიტი სავარაუდოა სქესობრივად აქტიურ მამაკაცებში. ურეთრიტის გამოსარიცხად სქესობრივად აქტიურ

მამაკაცებში, იღებენ შარდის პირველი ულუფის ნიმუშს ურეთრული ლეიკოციტოზის დასადგენად ან მიმართავენ გრამის წესით შეღებვას. გრამით შეღებვისას ლეიკოციტებისა და გრამ-უარყოფითი ფლორის ნახვა მიუთითებს *E. coli* ინფიცირებაზე, რომელიც წინ უძღვის ან თან ახლავს **სბი**. ყველა მამაკაცი მწვავე ცისტიტით შეფასებული ინდა იქნას გამომწვევ მიზეზზე. თუ რისკ ფაქტორი არ არის გამოკვეთილი (მაგ: შარდის ბუშტის კათეტერი), საჭიროა პაციენტის უროლოგიური შეფასება. მორეციდივე **სბი** დროს სავარაუდოა ქრონიკული პროსტატიტის არსებობა. უროლოგიური შეფასება შესაძლოა საჭირო არ იყოს ახალგაზრდა, ჯანმრთელ მამაკაცებში, რომელთაც არ აქვთ გამოკვეთილი გართულების მაჩვენებელი ფაქტორი, აქვთ ცისტიტის პირველი ეპიზოდი და ანტიმიკრობულ თერაპიაზე შედეგი სწრაფად მიიღება.

რეფერალის ჩვენებები:

შემდეგი ფაქტორების არსებობის შემთხვევაში აუცილებელია ვიფიქროთ გართულებული საშარდე ინფექციის არსებობასა და რეფერალის ჩვენებებზე.

ურგენტულ რეფერალს მოითხოვს პერინეფრული და თირკმლის აბსცესი, ვინაიდან მას შეუძლია გამოიწვიოს თირკმლის ფუნქციის გაუარესება და სეპტიური შოკიც კი.

რეფერალის პირდაპირი ჩვენებაა:

- საშარდე გზების ფუნქციური ან ანატომიური პათოლოგია (თანდაყოლილი ანომალიები, შარდ-კენჭოვანი დაავადება, პროსტატის კეთილთვისებიანი ჰიპერპლაზია, შარდის შეკავება, და ა.შ.);
- საშარდე სისტემაში კათეტერის არსებობა (ურეთრული, ეპიცისტოსტომა, ნეფროსტომა);
- იმუნოსუპრესია;
- ადეკვატური მკურნალობის მიუხედავად მკურნალობის დაწყებიდან 72 სთ-ში კლინიკური გაუმჯობესების არარსებობა;
- ორსულობა.

რეფერალის ჩვენებაა აგრეთვე შემდეგი მდგომარეობები:

1. როცა პაციენტი მამრობითი სქესისაა* და ოჯახის ექიმს არ აქვს შესაძლებლობა (სადიაგნოზო საშუალებების ხელმიუწვდომლობა) გამორიცხოს:

* მამაკაცებში: (ა) საშარდე ინფექციის კლინიკური სურათით ვლინდება მწვავე ან ქრონიკული პროსტატიტი (ბ) საშარდე გზების ინფექცია თან ახლავს შარდ-კენჭოვან დაავადებას (გ) პროსტატის კეთილთვისებიანი ჰიპერპლაზიით გამოწვეული ობსტრუქციის ფონზე ხშირად ვითარდება **სბი**.

- ახალგაზრდა მამაკაცებში მწვავე ცისტიტზე საექვო კლინიკის შემთხვევაში ურეთრიტი, პროსტატიტი, შარდკენჭოვანი დაავადება;
- ახალგაზრდა მამაკაცებში პწვავე პიელონეფრიტზე საექვო კლინიკის შემთხვევაში შარდ-კენჭოვანი დაავადება და თანდაყოლილი ობსტრუქციული ანომალიები;
- ხანშიშესულ მამაკაცებში ცისტიტზე საექვო კლინიკის შემთხვევაში პროსტატიტი, პროსტატის კეთილთვისებიანი ჰიპერპლაზიის გამო ან სხვა მიზეზით მოშარდვის დარღვევები, შარდის შეკავება, შარდის ბუშტის კენჭი;
- ხანშიშესულ მამაკაცებში მწვავე პიელონეფრიტზე საექვო კლინიკის შემთხვევაში შარდ-კენჭოვანი დაავადება, შარდის შეკავება და თანდაყოლილი ობსტრუქციული ანომალიები.

2. როცა პაციენტი ასაკოვანია

ხანში შესული ასაკი პირდაპირ ჩვენებას რეფერალისათვის არ წარმოადგენს. თუმცა იმ შემთხვევაში, როდესაც მდგომარეობა არ უმჯობესდება მკურნალობის დაწყებიდან 72 სთ-ში, რეკომენდებულია რეფერალი.

3. როცა პაციენტს აღენიშნება ჰოსპიტალური ინფექცია[†]

ასეთ შემთხვევაში სასურველია თანმხლები უროლოგიური პათოლოგიების გამორიცხვა, შარდის ბაქტერიოლოგიური კვლევა და მკურნალობის ადეკვატური (უფრო ეფექტური) რეჟიმის გამოყენება.

4. როცა პაციენტს უკანასკნელ ხანს ჩატარებული აქვს ინტერვენცია საშარდე გზებზე (კათეტერიზაცია, ცისტოსკოპია, ოპერაცია).

უროლოგიური პათოლოგიის არსებობა რეფერალის პირდაპირი ჩვენებაა; ჩატარებული კვლევებით უროლოგიური პათოლოგიის გამორიცხვის შემთხვევაში კი რეფერალის მიზანია შარდის ბაქტერიოლოგიური კვლევა და მკურნალობის უფრო ეფექტური რეჟიმის გამოყენება.

5. როცა პაციენტს აღენიშნება შაქრიანი დიაბეტი

ამ დროს სასურველია თანმხლები უროლოგიური პათოლოგიის გამორიცხვა და აქტიური მონიტორინგი. თუ მკურნალობიდან 72 სთ-ში კლინიკური გაუმჯობესება არ აღინიშნება, საჭიროა რეფერალი.

[†] მოითხოვს მკურნალობას სპეციალური ანტიბაქტერიული პრეპარატებით და სპეციალური სქემით / ხანგრძლივობით.


6. როცა პაციენტს ბოლო ხანს ჩატარებული აქვს ანტიბიოტიკოთერაპია, რაც შეიძლება მიანიშნებდეს ანტიბიოტიკებისადმი რეზისტენტული ფლორის არსებობაზე.

სასურველია თანმხლები უროლოგიური პათოლოგიის გამორიცხვა, შარდის ბაქტერიოლოგიური კვლევა და მკურნალობის ადეკვატური (უფრო ეფექტური) რეჟიმის გამოყენება მგრძობელობის განსაზღვრამდე, შემდეგ კი – მკურნალობა ანტიბიოტიკოგრამის მიხედვით.

7. როცა პაციენტს აღენიშნება დაავადების 7 დღეზე მეტი მიმდინარეობა

მკურნალობის გარეშე იზრდება გართულების რისკი. ამიტომ სასურველია თანმხლები უროლოგიური პათოლოგიის გამორიცხვა და აქტიური მონიტორინგი. თუ მკურნალობიდან 72 სთ-ში კლინიკური გაუმჯობესება არ აღინიშნება, საჭიროა რეფერალი.

სქემა 1. სბი დიაგნოსტიკური ალგორითმი მოზრდილ პაციენტებში:
მოზრდილთა სბი



6. მკურნალობა:

ქვედა სბი (50-70%) თვითღიმითირებადია, თუმცა სიმპტომები შეიძლება რამდენიმე თვეც დარჩეს. პროსპექტულ, პლაცებო კონტროლირებად კვლევაში³² (I b), 288 პაციენტი ღებულობდა პლაცებოს 7 დღის მანძილზე, 39 % პირველი ვიზიტის შემდეგ გამოვარდა კვლევიდან (8-10) დღე. სიმპტომების სპონტანური განკურნება აღინიშნა 28 % პაციენტში ერთი კვირის შემდეგ, ხოლო 37 % აღარ აღენიშნებოდა არც სიმპტომები და არც ბაქტერიურია 5-7 კვირის შემდეგ. სხვა კვლევის მიხედვით³³ (I b), სიმპტომური გაუმჯობესება და განკურნება აღენიშნა 33 პლაცებო მკურნალობის მქონე პაციენტთა 52% მკურნალობიდან 1 კვირაში, რომელთაც დადასტურებული ჰქონდათ სბი ბაქტერიოლოგიურად, მაგრამ ამ პაციენტთა მხოლოდ 20% ჰქონდა ბაქტერიული ერადიკაცია. ორივე პარამეტრი მნიშვნელოვნად დაბალი იყო იმ პაციენტებთან შედარებით, რომლებიც მკურნალობდნენ ნიტროფურანტონით (100 მგ 4-ჯერ დღეში 3 დღის მანძილზე).

გაურთულებელი სბი გამომწვევი უროპათოგენების ანტიმიკრობული მგრძობელობის ცოდნა ამა თუ იმ პოპულაციაში განსაზღვრავს მკურნალობის მიმართულებას, თუმცაღა, მწვავე გაურთულებელი ცისტიტის მქონე პაციენტთა კულტურალური კვლევა არ არის რუტინული მეთოდი და ეს მონაცემებიც შესაბამისად მწირია.

I მწვავე ცისტიტის მკურნალობა პრემენოპაუზის პერიოდის არაორსულ ქალებში

ანტიმიკრობული მკურნალობის ხანმოკლე კურსი მაღალ ეფექტურია მწვავე ცისტიტის დროს პრემენოპაუზიან, არაორსულ ქალებში^{34,35} (I a). ხანმოკლე კურსის უპირატესობაა მკურნალობის ხელმისაწვდომობა (სთიაფე) და არასასურველი გვერდითი მოვლენების სიმცირე. თუმცა შეიძლება მკურნალობის ხანმოკლე კურსის შემდეგ აღინიშნოს რეციდივი ან მკურნალობის არაეფექტურობა. ასევე გასათვალისწინებელია პაციენტის მხრიდან პოტენციური ფსიქოლოგიური ასპექტები ერთჯერადი დოზით მკურნალობისას, 2-3 დღიანი კურსის არაეფექტურობისას ამ კურსის "არასწორად" ჩათვლა მისი მხრიდან და ზედმეტი ვიზიტებისა თუ ზარების განხორციელება.

სბი სამკურნალოდ სხვადასხვა ანტიმიკრობული პრეპარატების სხვადასხვა ჯგუფები, დოზები, რეჟიმები და ხანგრძლივობა იყო მოწოდებული. მათი ანალიზის შედეგად IDSA კომიტეტმა და სბი სამუშაო ჯგუფმა შექმნა და განაახლა სბი მკურნალობის გაიდლაინი.

სბი სამკურნალოდ მოწოდებულია შემდეგი პრეპარატები: ტრიმეტოპრიმი (TMP), ტრიმეტოპრიმი-სულფამეტოქსაზოლი (TMP-SMX), ფტორქინოლონები (ციპროფლოქსაცინი, ენოქსაცინი, ნორფლოქსაცინი, ოფლოქსაცინი,

პეფლოქსაცინი, რუფლოქსაცინი), ბეტა-ლაქტამები და ცეფალოსპორინები (ამოქსიცილინი, ამპიცილინი, ცეფალექსინი, ცეფუროქსიმ აქსეტილი, ცეფპოდოქსიმ პროქსეტილი, ცეფტიბუტენი, პიემეცილინამი, რიტიპენემი), ფოსფომიცინ ტრომეტამოლი და ნიტროფურანტონი.

მკურნალობის ხანგრძლივობა: გაურთულებელი, მწვავე ცისტიტის მქონე მოზრდილ, სხვა მხრივ ჯანმრთელ, არაორსულ ქალებში ერთჯერადი დოზით მკურნალობა მნიშვნელოვნად ნაკლებ ეფექტურია საწყისი ბაქტერიურიის ერადიკაციისათვის, ვიდრე იგივე პრეპარატის ხანგრძლივი გამოყენებისას, ეს პრეპარატებია: ტრიმეტოპრიმი (TMP), ტრიმეტოპრიმ-სულფამეტოქსაზოლი (TMP-SMX), ციპროფლოქსაცინი, ნორფლოქსაცინი, მლაქტამები. თუმცა, ტრიმეტოპრიმის (TMP), ტრიმეტოპრიმ-სულფამეტოქსაზოლის (TMP-SMX), ციპროფლოქსაცინის, ნორფლოქსაცინისა და ფლუროქსაცინის მიღება 3 დღის მანძილზე ისეთივე ეფექტს იძლევა, როგორც მისი გამოყენება ხანგრძლივი დროით. ამ უკანასკნელის დროს ხშირია გვერდითი რეაქციები (I b). *S. saprophyticus*-ით გამოწვეული ცისტითი შეიძლება უკეთ განიკურნოს მკურნალობის 7 დღიანი კურსით ³⁶ (III B).

ტრიმეტოპრიმი, კოტრიმოქსაზოლი-ტრიმეტოპრიმ-სულფამეტოქსა-ზოლი (TMP-SMX) ყველაზე შესწავლილი პრეპარატია (30 კვლევა). მკურნალობის 3 დღიანი კურსი TMP-SMX-ით სტანდარტული თერაპიის კურსად არის მიჩნეული (I aA). ცალკე აღებული TMP ეკვივალენტურია TMP-SMX-სა ერადიკაციისა და გვერდითი მოვლენების მიხედვით. სულფანილამიდების მიერ გამოწვეული იშვიათი, მაგრამ სერიოზული გვერდითი მოვლენების გამო ცალკე ტრიმეტოპრიმი უფრო მიღებული პრეპარატია, ვიდრე TMP-SMX (III C). TMP და TMP-SMX რეკომენდებულია პირველი რიგის პრეპარატად ემპირიული მკურნალობისთვის იმ პოპულაციაში, სადაც უროპათოგენების რეზისტენტობა TMP მიმართ < 10-20 %-ზე (ერთის მხრივ მგრძობელობისა და *E. coli* ერადიკაციისა და მეორე მხრივ რეზისტენტობისა და უროპათოგენების პერსისტენციის მჭიდრო კორელაციის გამო ³⁷ ³⁸ (Ib). პიემეცილინამსა და ციპროფლოქსაცინს ³⁹ ნაკლებად ახასიათებს რეციდივის დროს რეზისტენტული ფლორის წარმოქმნა, ვიდრე TMP-s (III).

ფტორქინოლონები - ციპროფლოქსაცინი, ნორფლოქსაცინი, ოფლოქსაცინი და ფლუროქსაცინი TMP-SMX ეკვივალენტურნი არიან 3 დღიანი კურსის ჩატარებისას (I bA). ერთდღიანი მკურნალობა პეფლოქსაცინითა და რუფლოქსაცინით შეიძლება TMP-SMX ეკვივალენტური იყოს ბაქტერიურიის ერადიკაციისა და რეციდივების თავალსაზრისით. არ არის გარკვეული ამ აგენტებით სარგებლობისას გვერდითი მოვლენების მატების შესახებ სხვა რეკომენდებულ თერაპიასთან შედარებით ⁴⁰ (Ib B).

ფტორქინოლონები ძვირადღირებული პრეპარატებია TMP და TMP-SMX – თან შედარებით და ამდენად არ არის რეკომენდებული მათი გამოყენება ემპირიული თერაპიისთვის, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც

პოპულაციაში უროპათოგენების რეზისტენტობა TMP მიმართ >10-20 %. ფტორქინოლონებისადმი რეზისტენტობის განვითარების საფრთხის გამო არ არის მიზანშეწონილი მათი რუტინული გამოყენება გაურთულებელი, მწვავე სბი დროს, თუმცა არ არის გამოქვეყნებული კვლევის მონაცემები მწვავე ცისტიტის შემთხვევაში ამ ჯგუფის პრეპარატების მიმართ რეზისტენტული ფლორის შესახებ^{41, 42, 43} (III). ზოგიერთ ქვეყანაში *E. coli* რეზისტენტობა ფტორქინოლონების მიმართ უკვე გაიზარდა და >10 %. ასეთ შემთხვევაში ალტერნატიული პრეპარატები უნდა იქნენ გამოყენებული ემპირიული მკურნალობისთვის (ცხრ. №2, №3). ამ პრეპარატების გამოყენებისას ბაქტერიურიის ერადიკაცია 90%-ზე მეტი უნდა იყოს.

წ ლაქტამები - ამ ჯგუფის პრეპარატები ზემოთ ჩამოთვლილ პრეპარატებთან შედარებით ნაკლებ ეფექტურია (III). არ მოიპოვება ფართომასშტაბიანი კვლევა ზემოთ ხსენებულ რეჟიმებსა (3 დღიანი კურსი TMP ან TMP-SMX ან ფტორქინოლონებით) და მეორე და მესამე თაობის ცეფალოსპორინისა ან ამინოპენიცილინს პლიუს წლაქტამების ინჰიბიტორების შედარებითი მოქმედების შესახებ⁴⁴. მხოლოდ ერთმა კვლევამ შეადარა ლაქტამების (პიემეცილინამი) 3 დღიანი კურსი შედარებით ხანგრძლივ კურსს⁴⁵ (Ib). შედეგად აღმოჩნდა, რომ 3 დღიანი კურსი 7 დღიანი კურსის ეკვივალენტურია საწყისი ბაქტერიურიის ერადიკაციის მიხედვით, თუმცა, ხანმოკლე კურსი დაკავშირებული იყო რეციდივის მატებასთან. პიემეცილინამით 7 დღიანი კურსი (200 მგ ორჯერ დღეში) და 3 დღიანი კურსი ნორფლოქსაცინით (400 მგ ორჯერ) ერთნაირ შედეგს იძლევა^{46, 47} (IaB). პიემეცილინამის გამოყენებისას ვაგინალური კანდიდოზის სისშირე მნიშვნელოვნად დაბალი იყო, ვიდრე ნორფლოქსაცინის გამოყენებისა⁴⁸ (IB). პიემეცილინამს ასევე ახასიათებს დაბალი რეზისტენტობა *E. coli* სა და სხვა ენტერობაქტერიების მიმართ სბი სამკურნალოდ გამოყენებული სხვა პრეპარატების მიმართ ჯვარედინი რეზისტენტობის გარეშე^{49, 50} (IIB). პირველი და მეორე თაობის ცეფალოსპორინებით 3 დღიანი კურსი არ არის რეკომენდებული პირველი რიგის სამკურნალო რეჟიმად გაურთულებელი სბი დროს^{51, 52, 53} (Ib A). 133 შეფასებულ პაციენტში მესამე თაობის ორალური ცეფალოსპორინებიდან 3 დღიანი კურსი ცეფპოდოქსიმ-პროქსეტილით (200 მგ ორჯერ დღეში) ისეთივე უსაფრთხო და ეფექტური იყო, როგორც TMP-SMX⁵⁴ (Ib A). ამის საწინააღმდეგოდ, 370 ქალში 3 დღიანი კურსი ამოქსიცილინ-კლავულანატით (500 მგ/125 მგ ორჯერ დღეში) არ იყო ისეთი ეფექტური, როგორც 3 დღიანი კურსი ციპროფლოქსაცინით (250 მგ ორჯერ დღეში). ეს სხვაობა შესაძლოა გამოწვეული იყოს ამოქსიცილინ-კლავულანატის სუსტი ერადიკაციული მოქმედებით ვაგინალური *E. coli* მიმართ.

ფოსფომიცინი - ფართო კვლევით⁵⁵ (IbA) 547 ქალზე ფოსფომიცინ-ტრომეტამოლის ერთჯერადი დოზით მკურნალობა (3 გ) შედარებული იქნა

ტრიმეტოპრიმით 5 დღიან მკურნალობის კურსთან (200 მგ დღეში ორჯერ), შედეგად ნანახი იქნა ეკვივალენტური განკურნების სიხშირე (83 % ორივე პრეპარატის გამოყენებისას). ეს პრეპარატი გამოიყენება ევროპის რამდენიმე ქვეყანაში და რეზისტენტობა *E. coli* მიმართ ძალიან დაბალია სბი სამკურნალოდ გამოყენებული სხვა პრეპარატების მიმართ ჯვარედინი რეზისტენტობის გარეშე^{56, 57, 58} (II b).

ნიტროფურანტონინი - 50-100 მგ 4-ჯერ დღეში ან 100 მგ 2-ჯერ დღეში არ შეიძლება მოწოდებული იქნას ხანმოკლე მკურნალობისთვის გაურთულებელი ცისტიტის შემთხვევაში. სასურველია მისი დანიშვნა 5-7 დღიანი კურსით მწვავე ცისტიტის სამკურნალოდ⁵⁹ (IIa B). მიუხედავად ამ პრეპარატის წლების მანძილზე გამოყენებისა, რეზისტენტობა *E. coli* –სა და *S.saprophyticus* მიმართ ჯერ კიდევ დაბალია ევროპაში⁶⁰ (II b), თუმცა, ზოგიერთ რეგიონში შეინიშნება ნიტროფურანტონინის მიმართ *E. coli* რეზისტენტობის გაზრდა ბოლო 10 წლის მანძილზე⁶¹. ეს პრეპარატი არაეფექტურია *P.mirabilis* და *Klebsiella spp.* მიმართ, რომლებიც რიგით მეორე და მესამე გრამ უარყოფითი უროპათოგენები არიან⁶² (II b). გარდა ამისა, განსაკუთრებით საფრთხილოა მათი დანიშვნა, ვინაიდან ახასიათებთ ისეთი სერიოზული გვერდითი მოვლენები როგორცაა მწვავე და ქრონიკული პულმონარული სინდრომი, განსაკუთრებით ხანშიშესულ ასაკში^{63, 64}. ეს სერიოზული რეაქცია არ აღინიშნება ამ პრეპარატის ხანგრძლივი დროითა და დაბალი დოზით გამოყენებისას (სბი პროფილაქტა გოგონებსა და ქალებში)^{65,66} (III).

ცხრილი №2

მწვავე გაურთულებელი ცისტიტის მკურნალობის რეჟიმი პრემენოპაუზის პერიოდის არაორსულ ქალებში

| მედიკამენტი | დოზა | მკურნა- ლობის ხანგრ- ძლივობა | მტკიცებულე ბის დონე, რეკომენდაცი ის ხარისხი | შენიშვნა |
|--|------------------|---------------------------------------|--|---|
| ცეფპოდოქსიმი | 100მგ X2 | 3 დღე | Ib A | ცეფპოდოქსიმი 3დღე ისეთივე ეფექტურია, როგორც TMP-SMX 3დღე |
| ციპროფლოქსაცინი* | 250მგ X 2 | 3 დღე | Ib A | გამოიყენება პოსტ მენოპაუზიან ქალებშიც |
| ციპროფლოქსაცინის გახანგრძლივებული მოქმედის ფორმები | 500 მგ ერთჯერ | 3 დღე | Ib A | ეფექტურობა და ტოლერანტობა გახანგრძლივებული მოქმედების ციპროფლოქსაცინისა (500 მგ ერთჯერ) ეკვივალენტურია 3- დღიანი კურსისა |

| | | | | |
|---------------------------------------|---|---------|---------|---|
| | | | | ციპროფლოქსაცინი 250 მგ 2-ჯერ დღეში |
| ფოსფომიცინი | 3000 მგ ერთჯერადი დოზა | 1 დღე | Ia, b A | |
| ლევოფლოქსაცინი* | 250 მგ X 2 | 3 დღე | Ib A | ისეთივე ეფექტურია, როგორც ოფლოქსაცინი |
| ნიტროფურანტონი | 50-100 მგ X4; 100 მგ გახანგრძლივ ებული მოქმედების | 5-7 დღე | II aB | 5-7 დღიანი მკურნალობა უფრო ეფექტური იყო, ვიდრე 3 დღიანი კურსი. |
| ნორფლოქსაცინი* | 400 მგ X2 | 3 დღე | Ib A | რეციდივი 3 დღიანი მკურნალობისას მეტია, ვიდრე 7 დღიანი კურსის დროს. |
| ოფლოქსაცინი* | 200მგ X2 | 3 დღე | Ib A | ეკვივალენტურია TMP- SMX 3 დღიანი მკურნალობის კურსისა. |
| პიმეცილინამი | 200მგ X2 | 7 დღე | Ib A | ისეთივე ეფექტურია, როგორც ნორფლოქსაცინი, იშვიათია სოკოვანი ვაგინიტის განვითარება |
| ტრიმეტოპრიმი* | 200მგ X2 | 5-7 დღე | Ib A | სტანდარტული თერაპიაა, როდესაც TMP რეზისტენტული <i>E.coli</i> <10-20%; 5-7 დღიანი მკურნალობა უფრო ეფექტურია, ვიდრე 3 დღიანი. |
| ტრიმეტოპრიმ- სულფამეტოქსაზოლი * | 160/800 მგ X2 | 3 დღე | Ib A | მხოლოდ ემპირიული მკურნალობისთვის, როცა რეზისტენტული <i>E.coli</i> <10-20% |

* *E.coli* რეზისტენტობა განსხვავებულია ევროპის ქვეყნებში. ეს მედიკამენტები რეკომენდებულია ემპირიული მკურნალობისთვის, როდესაც *E.coli* რეზისტენტობის სიხშირე < 10-20 %.

მკურნალობის სხვა მეთოდები - ისეთი ანალგეზიური საშუალებები, როგორცაა ფენაზოპირიდინი (200 მგ 3-ჯერ დღეში) შეიძლება დაინიშნოს იმ პაციენტებში, რომელთაც აღენიშნებათ სერიოზული დიზურია 1-2 დღის

მანძილზე. ქალებს ცისტით, მათ შორის დიზურიითა და მოშარდვის იმპერატიული სურვილით მდგომარეობის გაუმჯობესება ჩვეულებრივ აღენიშნებათ მკურნალობის დაწყებიდან 2-3 დღეში. ეს ინფორმაცია უნდა მიეწოდოს პაციენტს. აქედან გამომდინარე, ანალგეზიური თერაპიის საჭიროებისა და ხანგრძლივობის განსაზღვრა ინდივიდუალურია.

მიუხედავად იმისა, რომ ზოგადად რეკომენდებულია პაციენტებმა სბი დროს მიიღონ ჭარბი რაოდენობით სითხე შარდვის მატებისა და უროპათოგენების ელიმინაციის მიზნით, არ არის ცნობილი ამ მეთოდის ზიანი/სარგებლობის შესახებ ⁶⁷.

II მწავე ცისტიტის მკურნალობა ორსულებში

ორსულებში რეკომენდებულია 7 დღიანი მკურნალობის კურსის ჩატარება მაგ: პიემეცილინამით ⁶⁸ (IbA). ხანმოკლე მკურნალობის კურსი არ არის ისე მოწოდებული ორსულებში, როგორც არაორსულებში, მაგრამ მცირე კვლევებითა და ექსპერტთა მოსაზრებით შეიძლება ამ რეჟიმის გამოყენებაც ⁶⁹ (IIaB). ფოსფომიცინ ტრომეტამოლი (3 გ ერთჯერადი დოზა) ან მეორე, შესაძლოა თაობის ცეფალოსპორინები (მაგ: ცეფტიბუტენი 400 მგ ერთჯერადად) შეიძლება განიხილოს ხანმოკლე რეჟიმის ალტერნატივად ⁷⁰ (IIaB). სხვა შემთხვევაში რეკომენდებულია ამოქსიცილინის, ცეფალექსინისა ან ნიტროფურანტონინის დანიშვნა (IV C).

III სბი მკურნალობა ახალგაზრდა მამაკაცებში

გამომდინარე იქიდან, რომ სბი ახალგაზრდა ასაკის მამაკაცებში არ არის ხშირი, არ არსებობს მკურნალობის კონტროლის შემსწავლელი კვლევები. რეკომენდებულია იმ პრეპარატების გამოყენება, რომლებიც ნაჩვენებია სბი სამკურნალოდ ქალებში (III). ნიტროფურანტონინი არ გამოიყენება სბი სამკურნალოდ ახალგაზრდა მამაკაცებში, ვინაიდან ვერ აღწევს სათანადო კონცენტრაციას ქსოვილებში (IV C). მწვავე გაურთულებელი პიელონეფრიტის სამკურნალოდ იმ პოპულაციაში სადაც ამ პრეპარატებისადმი *E. coli* ს რეზისტენტობა დაბალია (<10%) ფტორქინოლონებია რეკომენდებული როგორც საწყისი ემპირიული მკურნალობა (IIa B). სხვა შემთხვევაში გამოიყენება ალტერნატიული მედიკამენტები. მამაკაცებში ფებრილური სბი ან პიელონეფრიტით უნდა ვივარაუდოთ პროსტატის ჩართვაც პროცესში, მკურნალობის მიზანი კი არა მხოლოდ შარდში ბაქტერიების ერადიკაციაა, არამედ პროსტატის ინფექციის აღმოფხვრაც. ამიტომ, მიზანშეწონილია ისეთი მედიკამენტების გამოყენება, რომელთაც ახასიათებთ პროსტატის ქსოვილსა და სითხეში მაღალი შეღწევადობა. მაგ: ფტორქინოლონები ⁷¹ (II bB). შესაძლოა მკურნალობის ხანმოკლე კურსი ეფეტური იყოს მამაკაცებში გაურთულებელი მწვავე ცისტიტის სამკურნალოდ, მაგრამ არ არსებობს ამის დამადასტურებელი კვლევები. რეკომენდებულია მინიმუმ 7 დღიანი მკურნალობის კურსი, ვინაიდან მამაკაცებში ქალებისგან განსხვავებით მეტია გართულების ხელშემწყობი ფაქტორის არსებობის შანსი (III B).

გარდა ამისა, ხანგრძლივ მკურნალობას შეუძლია პროსტატის სავარაუდოდ არსებული ინფექციის შემცირებაც. ფებრილური სბი ეპიზოდის პერიოდში ან მის შედეგ 6 თვე არ არის რეკომენდებული პლაზმის პროსტატის სპეციფიური ანტიგენის განსაზღვრა. იმ მამაკაცთა უროლოგიური შემოწმება, რომელთაც მხოლოდ ერთხელ აღენიშნებოდათ გაურთულებელი სბი არ არის აუცილებელი. უროლოგიური შეფასება რუტინულად ტარდება მოზარდებსა და მამაკაცებში ფებრილური სბი-ით, პიელონეფრიტითა და მორეციდივე ინფექციით, აგრეთვე, როდესაც სავარაუდოა გართულების ხელშემწყობი ფაქტორის არსებობა (III B).

IV სბი მკურნალობა პოსტ მენოპაუზის პერიოდის ქალებში

